

ვლადკერნოზა ზუგდიდში

მიმართვა ბატონ  
 შალვა კაკუაშვილს



რუხში დევნილ ბენეფიციარებს  
 სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებისთვის  
 საჭირო ტექნიკა-დანადგარები გადაეცათ



იმ დღეს გაუმარჯოს...

რაულ ჩილაჩავა – „დასაწყისი„ – 50



მოგმართავთ საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრთა, მისი პრეზიდიუმისა და ზუგდიდის ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებების ჯგუფის სახელით.

საზოგადოება „ზუგდიდელი“ აერთიანებს დიდი ცხოვრებისეული და ხანგრძლივი შრომითი გამოცდილების მქონე პროფესიონალ ადამიანთა გუნდს და სრულიად უანგაროდ, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ყოველგვარი მაგერიალური დაინტერესების გარეშე, სამ ათეულ წელიწადზე მეტია ემსახურება მშობლიურ ქალაქსა და ქვეყანას, იცის საზოგადოების სატკივარი და ცდილობს გამოსავლის ძიებას, სამთავრობო სტრუქტურებთან მყარი თანამშრომლობის საფუძველზე.

ამასთან მზადყოფნაშია, რათა კვლავაც შეასრულოს საიმედო ხიდის როლი მოსახლეობასა და მთავრობას შორის.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ არსებული ვითარების გათვალისწინებით, განაახლოთ მსჯელობა საზოგადოება „ზუგდიდელის“ მიერ საქართველოს პარლამენტის წინაშე აღრე დასმულ (2016 წლის 3 მაისის 08 და 2018 წლის 8 თებერვლის 01 წერილები) საკითხებზე:

მასმედიის ყველა სექტორში (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) ძალადობის პროპაგანდაზე, ვულგარულ, ხულიგურ და ბილწ გამონათქვამებზე საჯარიმო სანქციებისა და პასუხისმგებლობის სხვა ფორმების დაწესება;

„ლგბტ“-ს პროპაგანდის და მათ მხარდამჭერთა აღლუმების ჩატარებასთან დაკავშირებით მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ამოქმედება და მკაცრად რეაგირება;

პასპორტში მამის სახელისა და ეროვნების ჩაწერა;

ანგისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების გამოვლენა და მათზე სამართლებრივი რეაგირება;

სახელმწიფო ენის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება.

საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე :





# რუსი დიპლომატი გენერალ-მაიორის სამეფარმო საქმიანობის გააღვივებისთვის საჭირო ტექნიკა-დანადგარები გადაეცა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსში, რუსი მოლის გერიტორიაზე, აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, სლოვაკეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოდან მიღებული გრანტის შესახებ პრეზენტაცია გახატა.

ლონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, ზუგდიდის მერი შაშუკა წოწრია და აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ლევან თევზაია ესწრებოდნენ.

გრანტის ფარგლებში, სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აფხაზეთიდან დევნილი და ასევე ადგილობრივი მოსახლეობის პროდუქციის (ჩირები, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურები) შეფუთვა-დაფასებისთვის საჭირო მობილური სერვისი შეიქმნა, ასევე, მიღებული ფინანსური მხარდაჭერით შესაბამისი საგრანტოპროცესო საშუალებისა და აუცილებელი დანადგარების შეძენა განხორციელდა, რომელსაც ექსპლუატაციას აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „ეკონომიკური პროგრამების სააგენტო“ გაუწევს.

აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით, საკონკურსო პროგრამებში - „დასაქმების ხელშეწყობა“ და „დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერება“ გამარჯვებულ დევნილ ბენეფიციარებს სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებისთვის საჭირო ტექნიკა-დანადგარები გადაეცა.

პროგრამებს აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „პროგრამებისა და სერვისების სააგენტო“ ახორციელებს და მისი მიზანია აფხაზეთიდან დევნილი პირების ეკონომიკური და სამეწარმეო, მათ შორის აგრარული მიმართულებით, საქმიანობის წამოწყების ან განვითარება-გაძლიერების ხელშეწყობა, შესაბამისი ტექნიკითა და დანადგარით უზრუნველყოფა. კონკურსის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით აფხაზეთიდან დევნილი 43 აპლიკანტი გამოვლინდა.

## ვლადიმერ ზუგდიდში

15 ივლისი ვლადიმერობაა. დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება ზუგდიდში. გრადიციულად, ღვთისმშობლის კვართი დაღიანების ისტორიული სასახლიდან გამოაბრძანეს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული. ღვთისმშობლის კვართთან ერთად მომლოცველებს შესაძლებლობა ჰქონდათ წმინდა დიდმოწამე მარინეს მკლავთან, წმინდა მოწამე კვირიკეს ხელის მკვეთრად, წმინდა გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილებთან მოლოცვის.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში საღვთისწაულო საღმრთო ლიგურგია ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტმა გერასიმემ, სინოდის სხვა წევრებთან ერთად აღავლინა.

ვლადიმერობის საღვთისწაულო წირვას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, მისი მოადგილეები, პარლამენტის წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

დღესასწაულს მომლოცველები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ესწრებიან. ღვთისმშობლის კვართი ტაძარში დღის ბოლომდე რჩება და პილიგრიმებს მასთან მოლოცვის საშუალება მთელი დღის განმავლობაში ჰქონდათ.



## სოფელ ჭოღაში ახალი ხიდი შენდება

ჩხოროწყის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში, მეორე ჭოღაში, მდინარე ოჩხომურზე არსებული საავტომობილო ხიდი სტიქიის შედეგად ამორტიზირებულია. ხიდზე აკრძალულია სატვირთო მანქანების გადაადგილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზიანებული ხიდის გვერდით დაიწყო ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 130 000 ლარით ფინანსდება. ხიდის სიგრძე 55, ხოლო სიგანე 10 მეტრი იქნება. მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ლათო გოგუა და მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და გეგმავლობის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მალანია გაეცნენ. ხიდის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

## ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა

სოფელ ქვედა ჩხოროწყის, ლეჩიქის უბანში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის გრუნტის საფარით რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა. მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ლათო გოგუა და მერიის პირველი მოადგილე გოჩა ჩიქოვანი ადგილზე გაეცნენ. 11 ივნისის ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა ჩხოროწყის მუნიციპალიტეტში. უხვი ნალექის შედეგად დაიგბორა რამდენიმე საცხოვრებელი სახლის პირველი სართული, სახნავ-სათესი საფარგულები, ქუჩები, ასევე სოფლებისა და ქალაქის გერიტორიაზე ცალკეული უბნები. ჩამორეცხა შიდა საუნო გზები. ადგილობრივი მთავრობისა და ცენტრალური ხელისუფლების, შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოფა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები და სამუშაოები ყველა დაზარალებულ ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდება.





# სტუმრად გურამისთან წალენჯიხაში გურამ ფიფია - 80

კაცობრიობის ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, როცა ადამიანი სამართლიანად დიდი და სამოგადოებაში ცნობილი ხდება, მის წარმომავლობაზე ჩნდება დავა სამოგადოების სხვადასხვა ფენებში, ყველას უნდა რომ იგი მისი ქალაქის, მისი რაიონის, თუ სოფლის კუთვნილება იყოს, ასე იყო დიდი ილია ვეკუას, აკაკი ხორავას და სხვათა და სხვათა შემთხვევაში. დღესაც სწორედ ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე. ახლოვდება საიუბილეო თარიღი ცნობილი სამოგადო და პარტიული მოღვაწის, ერისკაცის ბაგონი გურამი ფიფიასი, თურმე 80-ისა მოყრილა, მაგრამ ვერაფერს შეაგყობ, ის ისევ ძველებურად ახოვანი, ლამაზი და ათლეგურია, გონებრივად კიდევ უფრო დაბრძენებული, თავისი საქველმოქმედო საქმეებით დამაშვრალი, შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით გამრავლებულ-გასხივოსნებული.

გურამის საიუბილეოდ წიგნი გამოდის, რომელიც მისი მეგობრებისა და პირად მოვლენებს, საქმიან წერილებს მოიცავს ძირითადად, წიგნის რედაქტორია ბრწყინვალე კალმოსანი, გამომცემლობის დირექტორი ბაგონი რამინ სორდია, მეც პარალელურად, ბაგონ გურამის დავალებით, ვცდილობ შევეხილო წიგნის მაღალპროფესიულ დონეზე გამოცემაში. მინდა რაღაც ახალი შევმაგო ამ წიგნს, თუნდაც ამ რვა ათეული წლიდან ამოვკრიბო ის ეპიზოდები და ნიუანსები, რაც შეიძლება გარკვეული წლების შემდეგ ღირებული და ფასეული გახდეს მისი შთამომავლებისთვის, ჩვენი ქალაქისთვის. . . და სწორედ ამ მიზნის საფუძველზე ბაგონ გურამისთან შევიკრიბეთ მე და ბაგონი რამინ სორდია ქალბატონ ნანისთან ერთად. მიმოვიხილეთ წიგნის მასალები, წერილები ... ბაგონი კოგე ჩიქობავაც გაიხსენეთ- ეს დიდებული ადამიანი, რომელიც ხშირად ახსენებდა წალენჯიხას და იქ მოწყობილ მღაპრულ მარანს, მახვმის სკამს, რომელიც სვანებმა უსახსოვრეს ბაგონ გურამის დიდი სიყვარულის ნიშნად. . . და მეც შევბედე და ვუთხარი: ბაგონ გურამ არ შეიძლება წალენჯიხაში თქვენი მარანი ვნახოთ მეთქი და იმ წუთში დაგვთანხმდა, დღეც დავთქვით. და ასე აღმოვჩნდით წალენჯიხაში, არ უნდა დავგავიანდეს, ორ საათზე უნდა ვიყოთ იქ. მივდივართ რამინის მანქანით, თან გვახლავს მხცოვანი პედაგოგი ბაგონი ბაურ ფიფია, რომელიც გურამის დიდი ხნის მეგობარია.

-წალენჯიხაში ვართ, უკვე გურამის სახლს ვუახლოვდებით, სოფელი ეწერი ხელმარცხნივ ციდა ასასვლელია, გზის ორივე მხარე მწვანე ხეივანით დამშვენებული, აი ჭიშკარიც გამოჩნდა, აქ არც ერთი მანქანა არ დგას, მგონი გურამი მოსული არ არის ამბობს ბაგონი რამინი და ამასობაში ჭიშკარს მივადექით. უცებ შევნიშნე, ბაგონი გურამი ჭიშკრის მარჯვენა მხარეს სკამზე ჩამომჯდარი, რომელიც ჩვენი მისვლისთანავე დიდი სიხარულით, გაბრწყინებული თვალებით

შემოგვეგება და ემოში შემოგვიპატიჟა, იქვე ლამაზი ყვავილი მოწყვიტა და მაჩუქა, მე გაბრიელ ბერის ხატი ვუსახსოვრე და გზა სახლისკენ გავაგრძელეთ.

-სანამ სახლში შევალთ ემო დავათვალიეროთ, თქვა ბაგონმა გურამიმ და ქვემოთ ჩაუყვეით რცხილების ხეივანს, თან გზა-გზა გვისხნის: -ეს ხეები 85-90 წლისაა, ბაბუაჩემის მაქსიმეს დარგულია; ჭიშკარი, რომელიც პირდაპირ მოჩანს ჭკადუაშელ ების ჭიშკარს ვეძახით, იგი მხოლოდ 100 მეტრითაა დამორებული სოფელ ჭკადუაშიდან, იქვე მარცხენა მხარეს ისევ რცხილნარი და დიდი აუზია, სადაც თევზები დაცურავენ, აქვეა მრგვალი მაგიდა, სადაც 35 კაცი ეგევა, ამ მაგიდასთან ხშირად იკრიბებიან გოჩა და მისი მეგობრები გვეუბნება ბაგონი გურამი. იქვე ავზის განაპირას ქვევრია ჩამარხული, რომელსაც მაქსიმეს ქვევრი ჰქვია, დიდი პატივითა და სიყვარულით ელოლიავენ და ახსენებს თავის წინაპრებს. ახლა ისევ სახლისკენ ამოვყევით გზას. აქ გვხვდებიან სტუმრები: ბაგონი გურამი გვაცნობს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჩვენი ოჯახის ახლობელი ვახტანგ შანავა მეუღლესთან და შვილთან გიგა შანავასთან. ამასობაში სახლამდე მივედით. აქ ქალბატონი ნანი ისე შემოგვეგება, როგორც დიდი ხნის უნახავი ახლობელი და მონაგრებული ადამიანი, თითქოსდა შენს სამეგობრო წრეში ხარ... და ეს ყველაფერი მაინც ამ დიდი კოლხი ქალის დამსახურებაა. დიახ, ბაგონ გურამის ამ წარმატებაში, მის ღვაწლსა და მიღწევებში ქალბატონ ნანის რომ ლომის წილი მიუძღვის ამაში მისი გაცნობის დღიდან დავრწმუნდი;

სახლში შესულები ბაგონმა გურამმა თავის მარანში შეგვიპატიჟა, ეს ნამდვილი მუზეუმი საუცხოო მოწყობილი, ქვევრები დაძველებული ღვინოებით, ორასწლოვანი საწნახელი, ძველებური ღვინოს საწურით, არყის სპილენძის სახდელით, ლამაზი ბუხრით და საუკუნოვანი ხისგან გამოთლილი გაბლითა და სკამებით, სხვადასხვა გრადიციული სასმისებით დამშვენებული, ღვინოც ჩამოასხა, თვითონ გვემსახურება, სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

-ამოვედით შემოთ, აქ ფინჯანი ყავის ნაცვლად დიდი გაწყობილი სუფრა დავგხვდა. ბაგონ გურამის მეგობრებთან ერთად, თამადად ბაგონმა გურამმა თავისი უსაყვარლესი ახლობელი და მეგობარი ბაგონი ვახტანგ შანავა დანიშნა, ხოლო 100 წლის საიუბილეო სუფრაზე თამადაობას ბაგონი ბაურ ფიფიას დაპირდა, თუმცა ბაგონმა ბაურ ფიფიამ ბადრიჯანზე იუმორით ცოტა გაგვიოცა, რომელმაც ჩემდაუნებურად გამახსენა საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარის, დიდი ეგნატე ფიფიას სიგყვები, რომელიც შვილებს ეტყოდა: ცუდი სიგყვები არა თქვათ, თორემ კედლებს შერცხვებათო. მე დარწმუნებული ვარ ბაგონი გურამის ოჯახში მოსმენილი და გაგონილი სიგყვები მუდამ იქნება სავიზიტო ბარათი ამ ოჯახში შემოსული ნებისმიერი მოკვდავისთვის,



იუბილარი  
გურამ ფიფია  
მახვმის სკამზე  
წალენჯიხაში

რამეთუ თიხანი ვართ და თიხადვე მივიქცევით.

ბაგონმა ბაურამ ასევე გაიხსენა, კინაღამ როგორ მოაჭამა პირი გურამის ძაღლმა ერთხელ და გუჩებზე რამდენიმე ნაკერი ელო, ღიმილით ამბობდა:-კიდევ კარგი ცხვირზე არ მიკბინა თორემ უცხვიროდ დავრჩებოდი.

-გურამისთან მისულებს ძალიან ფუმფულა ლამაზი ძაღლი ჩვენც შემოგვეგება, მაგრამ ისეთი სიხარულით დარბოდა ლამის იყო ენა ამოიღა და ხან ერთ სტუმართან მიიბრუნდა, ხან მეორესთან; ამის შემყურე ძაღლის საქციელზე დავფიქრდი- რატომ გასწირა პაუერსმა ბაგონი ბაური და კინაღამ უცხვიროდ დაგვოცა.

ეს შეხვედრა იყო კლასიკური მაგალითი უბრალოების, თავმდაბლობის, მნეობის, მოყვასის სიყვარულის და კიდევ ერთი დასტური იმისა, რამდენად დიდი ადამიანია ბაგონი გურამი, იგი ღელამიწაზე დამწვეული ღმერთკაცია, ყველაფრით შემკობილი, ალბათ შეუძლებელია ამ ცოდვილ მიწაზე უფრო სრულყოფილი ადამიანის მოვლინება.

სუფრასთან მსხდომთათვის გასაოცარი დამთხვევა იყო საქართველოს ყოფილი პირველი პირის ჯუმბერ პაგიაშვილის სატელეფონო მარი, რომელმაც დიდი მეგობრული სიყვარულით მოიკითხა ბაგონი გურამი, საიუბილეო თარიღი მიულოცა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა. სუფრის წევრებმა ერთხმად დალოცეს ბაგონი ჯუმბერი და მისი საგმირო საქმეებიც გაიხსენეს საქართველოს უმძიმეს წლებში.

-...ეს სასიამოვნო სუფრა-დილოგი 4-5 საათს გაგრძელდა, დაღლა არავის ეტყობოდა, შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო განგებობის დაუვიწყარი საათები. ქალბატონი ნანი დიდი პატივით ეფერებოდა თითოეულ სტუმარს, და აღინიშნა, რომ მას ეს გრადიცია არასდროს დაურღვევია და ამიგომაც არის ბაგონ გურამის ოჯახი გამორჩეული და განსაკუთრებული, ეროვნული ღირებულებებითა და გრადიციებით გასხივოსნებული.

-ქალბატონმა ნანიმ ასე განაცხადა ჩემთან საუბრისას: ხანდახან როგორ არ მაბრალებს, მაგრამ ისე არასდროს, რამე რომ დამამახსოვრდესო და ერთი რამ ინაგრა, გურამის გარეშე ერთი დღეც ნუ მაცოცხლებს ღმერთი, როცა ჩვენი ყამი დადგებაო.

- მინდა ამ ბედნიერ ოჯახს ვუსურვო საუკუნოვანი თანაცხოვრება, კიდევ მრავალი ბედნიერი დღე და უღევი სიხარული ცხოვრებაში.

-ჩვენც დავემშვიდობეთ ფიფიების გვარის მახვმს ბაგონ გურამის, სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ და კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩავწერეთ სამეგრელოს ისტორიაში.

მრავალკამიერ ბაგონ გურამ!  
ნათია ჯაშია  
27.05. 2023 წ.



წალენჯიხაში.



# იმ დღეს გაუმარჯოს... რაცო ჩილაჩავა – „დასაწყისი“ – 50

1973 წლის 27 ივლისს ხელმოწერილ იქნა და გამომცემლობა „მერანმა“ (რედაქტორი გ. ჯულიხიძე, მხატვარი ო. ჯიშკარიანი, მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე) დაბეჭდა რაულ ჩილაჩავას ლექსების პირველი ქართული კრებული „დასაწყისი“ (მანამდე 1972 წელს უკრაინულ ენაზე, კიევში გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული „საპოვნელა“) 2000 ც. გირაჟით. ერთი ცალი მეც მერგო და ნახევარი საუკუნეა ამშვენებს ჩემს წიგნების თაროს...

ამ წიგნიდან წარმოგიდგენთ 25 წლის პოეტის მოგიერთ თამამ გულის ნაღებს:

**დავუგდოთ ყური, მამულს გვავედრებენ ქართლის დედები  
საკუთარ თავზე განვიცადო, სამშობლო რასაც განიცდი,  
მეც უნდა ვზიდო შენი დარდი და სიძნელე...  
ყივის მამული, რომ გაგვადვიდოს...  
მოველ მასთან, გაღვიძებას თუ ვერ შევძლებ, მაინც ვეცდები,  
ჩემი ნათელი დაბეჭილი პალიმფსესტებით...  
მარადი ყოფილა ჩემი მოდგმის წილხვედრი ფარ-შუბი,  
მუზარადი და ხმალ-შემტევი...  
გადიან წლები, ყველაფერი იცვლება:  
აზრები, წყობილება, თაობა მთელი...  
ვინც სხვისთვის ბუქნავდა თვალცრემლიანი სდიანო...  
პაგარა ეკლესია მოთმინებით ელის მლოცველებს...  
უკრაინაზე მე უკვე ვიცი შენი ენა, შენი წარსული,  
მე მომისმობენ შენი ღესნა და პრიპიაგი,  
მათ ღუღუნში ჩამესმის ხმა ჭანისწყალისა...  
შენ და კოლხეთი მარადისი...**

ვინც ამ დროს ცხოვრობდა კარგად იცის რა გმირობის გოლფასი იყო ასე ფიქრი და წერა...


VIII კლასის მოსწავლე რაულ ჩილაჩავას პირველი ლექსი-„დედას“ დაბეჭდა მუგდიდის რაიგაზე „მებრძოლში“ 1962 წ. 18 აპრილი. ნათლია ისაკ ქორთუა. 50 წლის შემდეგ 120-ზე მეტი წიგნის ავტორი რაულ ჩილაჩავა წერს:

„როდესაც ჩემი ცხოვრების წიგნი დაიხურება, ჩემი წიგნები მეგს თუ ვერაფერს, ერთ რამეს მაინც შეძლებენ-მათ, ვინც აიღებს ხელში (თუკი აიღებს!) მოუყვებიან რას ფიქრობდა და რას განიცდიდა ერთი უბრალო ქართველი კაცი ათასწლეულთა მიჯნაზე, როცა სამშობლოს თავზე დამოკლეს ხმალი ეკიდა... როცა ცნება „ქართველი“ აბოროტებდა ბევრ გადამთიელს, ჩემი წიგნები დროის სამჯავროს (მე ასე ვფიქრობ) გამოადგება, ვით უცყუარი ჩვენება მოწმის, ამ მიწაზე რომ ცხოვრობდა როსმე და მოკვდა რადგან... როსმე ცხოვრობდა!“

ეს „ერთი უბრალო ქართველი კაცი, ათასწლეულთა მიჯნაზე“ არის რაულ ჩილაჩავა პოეტი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, დიპლომატი, პოლიტიკოსი, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე...

კონკრეტულობაში გვეხმარება წიგნი რაულ ჩილაჩავა „ბიობიბლიოგრაფია (თბ. 2019 წ.) რაულ ჩილაჩავას ეკავა უკრაინის ეროვნებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა, იყო კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, კიევის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიის უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრის გამგე, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლაგვიში.

არის საქართველოს, უკრაინის და ლაგვის მწერალთა კავშირების წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის



წევრი, ლაგვის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მთა რუსთაველის, გალაქტიონ გაბიძის, გრიგორი სკოვოროდას, ნიკოლაი გოგოლის, მიკოლა კულიშის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრ ჩაკის, მაგრიკ ვულფსონის, ერნსტ ჰემინგუეის და სხვათა სახელობის პრემიების ლაურეატი. ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლისა და ციცერონის სახელობის საერთაშორისო პრიზის მფლობელი, დაჯილდოებულია „ლირსების ორდენით“ (საქართველო), ორდენით „დამსახურებისთვის“ (უკრაინა), „სამი ვარსკვლავის“ ორდენით (ლაგვი), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სტანისლავის საერთაშორისო ორდენებით „კომანდირის ჯვარი“ და „ოფიცრის ჯვარი“, მედლით „ქართული კულტურის ამაგდარი“ ასევე დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პეზიდენტის, საპატიო სიგელით, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის და უკრაინის ემენაქსი რადას საპატიო სიგელით „უკრაინის ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ თბილისის მერის საპატიო სიგელით და სხვ... არის მუგდიდის საპატიო მოქალაქე, აქვე გახსნილია მისი სახელობის ვარსკვლავი.

რაულ ჩილაჩავას შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტერესების სფეროზე გვიამბობს მისი წიგნები. ესაა პოეზია, მხატვრული თარგმანი, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, კომპარატივისტიკა, ლიტერატურის თეორია, ქართულ-უკრაინულ-ლაგვიური ურთიერთობანი, წერს და თარგმნის სამ ენაზე-ქართულად, უკრაინულად, რუსულად.

დედს, აქ მამა-პაპისეულ ოდაბადეში ჩვეული ენერგიით აგრძელებს შემოქმედებით პროფესიულ მოღვაწეობას და ღმერთმა ჯანის სიმრთელე არ მოაკლოს ამ მრავალი თაობისა და ეროვნების აღამიანთა პროფესიულად დამფასებელს, ღირსეულ და სახელოვან მამულიშვილსა და ხალხთა შორის მგზნებარე მეგობარს ბატონ რაულ ჩილაჩავას.

ამჟამინდელი მისამართი: მათ შვილთა გეამაღებული სოფელი ძველი აბასთუმანი (ვისაც ღღემდე არ გაუგია!)

შ. ფიქრობდნო საქართველოს მწერალთა კავშირმა (არ დაელოდოს უკრაინას) განახორციელოს სათანადო ორგანიზატორული ღონისძიებები რაულ ჩილაჩავას დაბადების 80 წლისათვის-2028 წელს გამოსცემულ იქნას საიუბილეო კრებული-„რაულ ჩილაჩავას ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“. შეიძლება სამეცნიერო იყოს-ქართული, უკრაინული, ლაგვიური.

**ფილარ დაბარბულია**

## ჩანაწერები ყველაფერზე ლამა გვასაღია



### დაუნჯარი სიყვარულის მშობი...

ვერასდროს შექმნი იმას, რაც გენაარსისგან არ მომდინარეებულა და მისგან საჭიროდ არ გაცხადებულა... „ვარადო“, „ჩაკრულო“, „ლილეო“, „ოლოია“, საოცრება-„გარეკახური მრავალკამიერი“ და სხვა უცაბადლესი ნიმუშები პოლიფონიური და ა. შ. კულტურისა, აღემატებიან აღამიანურ შესაძლებლობებს. ისე, როგორც ჰენდელის „ალილუია“ ვერ ამოთენდებოდა მხოლოდ კაცისგან და კომპოზიტორის ხელითა და გულით უთუოდ მეციერი აბალობებდა და აწინდებდა მის საოცრებასა და მარადეპმულობას...

რაც უნდა დაწერო, რაიც უნდა ქნა, ყველაფერი გაცხადებულია უკვე წმინდა წიგნში და ჩვენ გულმოკალმენი ვიმორებით ჩვენებური ხმოვანებითა და ფერადოვნებით!...

რა უნდა გააკეთო და მოიმევეო უფრო ღიდი და საკაცობრიო, ვიდრე: „ილიადა“, „ლონკიხოტი“, „ვეფხისტყაოსანია“... ვიდრე- რუდაქისა და ხაიამის სამყაროსეული გრძნობის პოეტური პორტრეტები...

ვერასდროს იტყვი და გააკეთებ იმაზე მეტს, რაც შენამდე, მსგავსად შენი სიტყვებისა და საქმეებისა, არ თქმულა და არ გაკეთებულა...

მარადისად ჯადოსნურ წრეში ვგრძნობდით და ვპატირობდით სიტყვას- მამა ღმერთთან ჩვენი ურთიერთობისა და დაუნჯარი სიყვარულის მგეს!...

**არ უნდა დავივიწყოთ**, რომ სამოგადოება და სახელმწიფო თანამედროვე გაგებით წმინდა ევროპული მოვლენაა, რომელიც სათავეს ევროპული სათავეიდან იღებს.

ევროპეიმში კი, როგორც საერთოდაა აღიარებული, სამ ძირითად მოვლენას ეფუძნება: ქრისტიანობას, ფეოდალიზმს და ბერძნულ- რომაულ სამართალს,

რომელიც პირველყოვლისა, არეგულირებდა საკუთრების ხელშეუხებლობას და აწესრიგებდა ფენებს შორის ურთიერთობასა და დამოკიდებულებას!...

**ჩემდა სამწუხაროდ** აქამდე წაკითხული არ მქონდა იური დომბროვსკის წიგნი „უსარგებლო ნივითა ფაკულტეტი“, მეგად საინტერესო ბელეგრისტული ნიმუშია, წინა პლანზე წამოწეულია მნებობრიობის პრობლემა აღამინში და საერთოდ სამოგადოებაში.

პაგარა მონაკვეთი მინდა მოვიგანო რომანიდან, საუბრობენ მთავარი გმირი და ახალგაზრდა გამომძიებელი ქალი. კაცი ეკითხება: რაგომ გაქვთ ასეთი ანტიჰუმანური მეთოდები და ასე მკაცრად რაგომ ეყვრობით აღამიანებს? - ქალი პასუხობს: კანონიერება, ჰუმანიზმი, სამართალი და სამართლიანობა- ეს ყველაფერი, რასაც თქვენ იქ, ფაკულტეტზე გასწავლიდნენ, უსარგებლო ნივითა ფაკულტეტი. ეს ამ თავდაჯერებული გოგოს ამრი კი არაა, მხოლოდ, არამედ მისებურად მოაზროვნე სამოგადოებისა. არადა, სწორედ “ამ უსარგებლო საგნებისა თუ ნივთების“ გარეშე აღამიანები იღუპებიან და სამოგადოება ირყვნება!

მრავალ საინტერესო პასაჟებს წაკითხავთ ამ დიდებულ წიგნში, აქ გამეფებული უმნებობისა და აღამიანური ჭეშმარიტების ჭიდილია გადმოცემული!...

**აუცილებლად** უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ მსოფლიო ცივილიზაციის გარდამტეხი მომენტების მნიშვნელოვანი სუბიექტი იყო ქართული კულტურა, რამეთუ ის გახლდათ ოდითგან მაგარებული საკაცობრიო ჰუმანიზმისა, რომლის საფუძველი იყო მისი გენეტიკური შეურყენელობა და კაცთმოყვარეობის განუქმორებული ნიჭი, რაც მერმის უფრო გააძლიერა ქრისტიანულმა კულტურამ!...

**სიგიჟე** - საკუთარი არსიდან გასული სულის პლანეტარულ გარსთან ჭიდილია!...

უნდა თავი დააღწიოს იმ გარსს და ვერა, ეძნელება. ვერ ეგევა კანში, ვერ ისვენებს, ვერ ჩერდება, მაგრამ არ ეპუება - თავისუფლება სხვანაირად ესმის და მიტომ, აბსოლუტია მისთვის მთავარი, მაგნიცივით იმიდავს უხილავი და წარმოსადგენადც ძნელი სივრცე, რომელსაც ჯერხნობით სახელი ვერაფერს მოუფიქრა. ჩვენ ირიათონი, ანუ მარადისობა დავარქვათ! მარადისობა მართლაც იქაა, იქ, სადაც არადვილია შესვლა და შეღწევა!...

**ცოცხალი** რელიგიური რწმენის აღორძინება უნდა გახდეს უმთავრესი საქმიანობა ჩვენი ეკლესიისა. პანთეონურ მღუპარებაში ჩარჩენა ვერაფრით გამოადგება ვერც ეკლესიას და ვერც რომელიმე სხვა ინსტიტუტს. მომავალს





# ლევან ბოსილიძე მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი თამაზ ცანავა - 85



85 წელი შეუსრულდა სასიქადლო მამულიშვილს, ცნობილ მეცნიერს, სამოგადო მოღვაწეს, პრინციპულ და გაბეჯულ მკვლევარს, გეგნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის, აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის აკადემიკოს თამაზ ცანავას.

ბატონმა თამაზმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების ნაწილი გაატარა მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, და ჩვენი ქვეყნის მომავალზე ზრუნვის სამსახურში. უბაღლო ნიჭიერებამ, პასუხისმგებლობამ, შრომისმოყვარეობამ, საქმისადმი გულწრფელმა დამოკიდებულებამ მის პიროვნებას იმთავითვე განსაკუთრებული ხიბლი შესძინა და სამოგადოებაში გამო

რჩეული ადგილი დაუკვიდრა.

თამაზ ცანავა დაიბადა 1938 წლის 7 აგვისტოს ქ. მუგდღიში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ქ. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1958 წლიდან გადატანილი იქნა ქსოხუშში და ეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. 1962 წელს ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და სამუშაოდ დატოვებული იქნა ამავე ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის „ტრაქტორებისა და ავტომობილების“ კათედრაზე, სადაც განვლო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა ლაბორანტიდან პროფესორამდე. პედაგოგიურ დატვირთვასთან ერთად ბატონი თამაზი დაკავებული იყო ადმინისტრაციული საქმიანობით. ის გახლდათ მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დეკანი, კათედრის გამგე. პარალელურად მოღვაწეობდა მუგდღის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში.

1971 წლიდან თ.ცანავა მოწვეული იქნა სამუშაოდ ქ. თბილისში ახლად შექმნილ სამთო-მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო -გექნოლოგიურ ინსტიტუტში. ამ დაწესებულებაში მუშაობის პერიოდი მისთვის იყო უდიდესი სკოლა, სადაც მისი მეცნიერული წარმატებები, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის აკად. შ. კერესელიძის ხელმძღვანელობით ხდებოდა, რომელთან თანამშრომლობით ბატონი თ.ცანავას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათი თანამშრომლობის შედეგი გახლდათ მის მიერ 1975 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჩაის ფოთლის მოვლა- მოყვანისა და კრეფის ინდუსტრიული მეთოდების გამოკვლევა“. 1976 წელს ის კვლავ ბრუნდება თავის მშობლიურ ინსტიტუტში ქ. სოხუშში და აგრძელებს მუშაობას „ტრაქტორებისა და ავტომობილების“, კათედრაზე.

დიდია პროფ. თ.ცანავას მეცნიერ ხელმძღვანელის აკად. შ. კერესელიძის დამსახურება საქართველოს საგრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით გამოკვეთილია მისი ღვაწლი ჩაის ფოთლის მოვლა-მოყვანისა და კრეფის მანქანათა კომპლექსის შექმნაში, დამზადებასა და დანერგვაში. მემოთ აღნიშნულმა მანქანებმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქეს და ფრიალ პრესტიჟული გახადეს მეჩაიეთა მძიმე შრომა.

ბატონი თამაზი თავის ხელმძღვანელთან ერთად აქტიური მონაწილე გახლდათ ჩაის მეურნეობებში ჩაის წარმოების ინდუსტრიული გექნოლოგიის დანერგვის საქმეში, რომელიც უწყვეტი ნაკადური ციკლია, სადაც ცალკეული ოპერაციების ნაკადურობითა და ამ რგოლის ოპტიმალური ფუნქციონირებით მიიღწევა ნედლეულისა და შესაბამისად საბოლოო პროდუქციის მაღალი ხარისხი. ამ მეთოდის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოკრეფილი ნედლეულის ხარისხის შენარჩუნება. ამის მაგალითი გახლდათ გასული საუკუნის 70-იანი წლების

დასაწყისში ინგირისა და ლაითურის ჩაის მეურნეობებში მწვანე ფოთლის უგარო გადაზიდვების დანერგვა, რომელიც შემდგომ განზოგადდა ჩაის მწარმოებელ რაიონებში.

ფანგასტიკურია აკად. შ. კერესელიძის მიერ შემოთავაზებული იდეა ისეთი ჩაის საკრეფო კომბაინის შექმნისა, რომელიც გულისხმობს უშუალოდ პლანტაციებში ჩაის საკრეფო მანქანით მოკრეფილი ფოთლის დაუყოვნებლივ გადამუშავებას, მასზე აგრეგაციურებულ დანადგარზე მწვანე ბაიხის ჩაის მისაღებად. თ. ცანავას უშუალო მონაწილეობით შექმნილი იქნა ჩაის საკრეფო კომბაინის ნიმუში. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, ჩაის საკრეფო კომბაინისათვის მწვანე ბაიხის ჩაის წარმოების გექნოლოგიური სქემის რეალიზაცია. ჩსკ საექსპერიმენტო ნიმუშის შექმნა იყო ფრიალ ნოვატორული და გაბეჯული ნაბიჯი ჩაის კულტურის მექანიზაციის პრობლემების გადასაჭრელად მემოთ აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე თ. ცანავამ მოამზადა სადოქტორო დისერტაცია დასაცავად, რომლის დაცვა ვერ მოხერხდა აფხაზეთში ცნობილი მოვლენების გამო. აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ მან უდიდესი ძალისხმევა მოახმარა აღნიშნული სამუშაოების თავმოყრას და 1997 წელს შეძლო დაცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჩაის მოვლა-მოყვანის და მისი პირველადი გადამუშავების მეცნიერულ-გექნიკური საფუძვლები მანქანური კრეფის დროს“.

პროფ. თ. ცანავას თავის ძირითად სპეციალობასთან ერთად გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები აქვს ჩატარებული ჩაის ფოთლის გადამუშავების გექნოლოგიაში. ამ დარგში მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია უკანასკნელ პერიოდში მის მიერ გამოცემული მონოგრაფია „ჩაი, კულტურა, წარმოება და სამკურნალო თვისებები“.

პროფ. თ. ცანავას გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და მეთოდური მითითებები. მიღებული აქვს 10-მდე გამოგონების საავტორო მოწმობა, რომელიც სამთო-მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის, აგროგექნიკისა და გექნოლოგიის საკითხებს ეხება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინერგა წარმოებაში.

პროფ. თ. ცანავა ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობაში დამსახურების გამო დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით. იგი ღირსების ორდენის კავალერია. ამ საქმეში უმტკიცესი, ცხოვრებაში უღალატო, განათლებულ, მაღალი ინტელექტის ადამიანთან შესვედრები და საუბრები ყურადსაღები და დასამახსოვრებელია ნებისმიერი ადამიანისათვის. მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ადამიანს იმაზე დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით, კეთილსინდისიერებით ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და სამოგადოებას.

პროფ. თ. ცანავა დამსახურებული პიროვნებაა. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სამოგადოებაში და იმ ადამიანებში, ვისთან ერთად ათეული წლების მანძილზე უხდებოდა შრომა. ყოველთვის კეთილი დამრიგებელი, თბილი და გულთბილი გზის გამკვლევი ახალგაზრდებისა, გულწრფელად გულშემატკივრობდა მათ, რათა პრობლემები სწრაფად და შეუფერხებლად მოეგვარებინა. მისმა ცხოვრებამ, მისმა უაღრესად მრავალწახნაგოვანმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ჩვენს თვალწინ ჩაიარა და ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის კეთილშობილებით და ვაკეცობით გამორჩეულ პიროვნებას ჩრდილი მიკარებოდა. მისი მთავარი ღირსება ოჯახია, შვილი გიორგი, რძალი მარიკა და ოთხი ანგელოზი შვილიშვილი.

ის კვლავ ჩვეული შემართებით ჩაბმულია ცხოვრების ფერხულში. სამოგადოებაში უნდა იცოდეს ბატონი თამაზის წარსული, რათა კიდევ უფრო უკეთ იქნეს დაფასებული ეს ბრწყინვალე ადამიანი. იგი სამშობლოზე თავგამოდებით შეყვარებული პიროვნებაა, ცოდნისა და გამოცდილების უანგაროდ გამცემი, განსაცდელში მყოფი მეგობრის გვერდში მდგომი და დამხმარე, თავმდაბალი და ახალგაზრდების მოსიყვარულე. საუკეთესო პედაგოგი. ასეთი ადამიანები არა მარტო სიმამრისა და პატივისცემას იწვევენ, არამედ სურვილსაც აჩენენ დაემსგავსონ და გაუტოლდნენ მას.

გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს დიდ პიროვნებას, ჭეშმარიტ ერისკაცს და ჩვენს მეგობარს თამაზ ცანავას, ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებას ქვეყნისათვის საჭირო და სასიკეთო საქმიანობაში.

სამოგადოება „გზაშია“

უნდა მივესწრაფოთ შესაფერისი გარდაქმნებითა და თანამედროებისთვის გასაგები მიმართებებით! ეკლესია თავისი მჩქეფარე და აქტიური ქმედებებით განუყოფელი უნდა იყოს - მოგადასაკცობრიო, მოგადაადამიანური კულტურისგან და დოგმატურ კატეგორიულობებსაგ გაემიჯნოს ჰუმანური თვალსაზრისით! ეს ჩემი აბსოლუტურად სუბიექტური და კეთილგანწყობილებითი დამოკიდებულების გამოხატულებაა დედაეკლესიისადმი, რომლის განუყოფელ ნაწილადაც ვრაცხ საკუთარ თავს!

**ჩემი ერთ-ერთი საფიქრალი** იმაში მდგომარეობს, რომ გავიგო: პიროვნებისთვის უმთავრესი რწმენაა თუ ეროვნება? ადამიანი საბოლოოდ ღმერთს ეკუთვნის თუ სამშობლოს?

ყოველივე რაც საზღვრებშია მოქცეული, ბერწია და უნაყოფო, ყოველგვარი ჯებირის გადალახვითა და კედლის დანგრევითაა შესაძლებელი სისხლისა და შეგნების გადახალისება - განვითარება...

რაც შეეხება შემოქმედებას, მისი სიმალლე და აბსოლუტური გაჭეშმარიტება შეუძლებელია - გაფეციმებული, დრომოჭმული და შემოჭრავი მნებობრივი შეზღუდვების გადალახვის გარეშე. თუმცა, აქ აუცილებელია დანის პირზე გავლით ოქროს შუალედის დაცვა.

ისე, ისტორიამ გვჩვენა, რომ ყველა დიდი ადამიანი და მოაზროვნე, “ზნეობრივად დახვეწილი” მოქალაქეების გასამართლებულია. “ცხედ” ქცეული ე. წ. მნეობა უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მორჩილებას. სამღვდიო შემოქმედება კი, შეუძლებელია ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ყოველნაირი ჯებირის გადალახვის გარეშე...

მე ვცემ მნეობას პატივს და ვემორჩილები მას იმდენად, რამდენადაც ამას ვთვლი საჭიროდ...

**იმპერიული სივრცე** იცით რატომაა ყველაზე მეტად მიუღებელი ჩემთვის? - ის არაფრად აგდებს ადამიანს, როგორც ინდივიდს. მისთვის მთავარია სახელმწიფო და მისი მონა- მორჩილი ადამიანი. ეს ღერძავული ჩანასახია...

## ჩანაწერები ყველაფერზე ლაშა გვასალია

**ამ ალიაქოთური ოპოზიციის** შემყურე ვხედავთ, რომ ქვეყანა ერთ დიდ სათამაშო მოედანს ემსგავსება, სადაც მწვრთნელები აბსოლუტურად არაპროფესიონალურად ანაწილე ბენ ადგილებს და წინასწარვე შეგუბულნი დამარცხებას, იმაზე დარდობენ - ვინმე უკეთესი მოთამაშე და ჭკვიანი დამრიგებელი არ გამოჩნდეს და ადგილები არ დაკარგონ ამ უსამელოდ აბურღულ ველზე...

**მშვილობა** და სტაბილურობა საუფძველია- ალორძინეული და ძლიერი სახელმწიფოსი. ამ აუცილებლობათა გარეშე ყოველი ჯაფა და შრომა ოკეანაში გადაყრილი განძივითაა! კიდევ: პატრიოტიზმი- თავდადებასთან ერთად, შინაგანი სიმაღლისა და უფლისმიერი ალვისილობის თანხვედრა...

**ვერ გავყვით**, ვის როგორ წარმოუდგენია სამყაროს მისტიკური გაგება, ან ბუნების პრინციპების თუნდაც “ლო-დე ძინისეული” აღქმა, მაგრამ ერთში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ, ე. წ. მსოფლიო განწყვეტილების ეამი მომდგარია და ყველა, ერი, ნაცია, სახელმწიფო თუ მსგავსი წარმონაქმნი, თავის ისტორიულად კუთვნიულ ადგილს დაიკავებს. საქართველოა ერთადერთი თუ არა, ერთერთი პირველთაგანი ქვეყანა, რომელსაც სხვა ხალხთა გერიგორიები არასდროს მიუგაცნია და .ისტორიული კანონზომიერება არ დაურღვევია!..

საოცარი თქმაა მეგრულში: “ გვალა - ნაგვალუს, წყარ- ნაწყარუსია...” ასეა, კეისარს უთუოდ მიემღება კეისრისა !.





## პიმენ (გიორგი) კვანჭიანი



### მივლიწარ

მივლიწარ, მეტად აღარასოდეს  
დაგიბრუნდები,  
თითს ვერ ღაგაჭერ, შენი კარის,  
ზარის ღილაკზე,  
გამგზავრების წინ, მომზადებას  
არ შევუღებები,  
აღარაფერი არ ღამჭირდება,  
ახალ ბინაზე.

ღიღხანს ვეომე ამა ქვეყნის,  
ბოროტ ქარიშხალს,  
კვლავ გაგრძელების ძალა უკვე,  
არ შემრჩენია,  
გვერდით ვედექი ბოროტის და  
ავის მარისხალს

და კარგის მეტი,  
არაფერი ჩამიღენია.  
დროა წავიდე, ხერხემალმა  
ველარ გამიძლო,  
თავზე ღამენგრა, ჯანმრთელობა,  
ძალა და ღონე,  
მე, უმაჟულოდ ტანჯულმა გულმა, კენესა ღამიწყო  
და აქ გაძლებს, სხვა სახსარი,  
ვერ მოვიგონე.

26.04. 2012 წ.

### გვერდის ნუ შეხედავ

თუ შენთან ჩაკვრა შევძელი,  
გაღაგრავე ცეცხლის წკეპლას,  
შენგან გაქცეულს გყვევლით,  
თითონ ღამიწყებ ძებნას.  
შეიძლება აღარც იყო,  
ამდენი ნდომის ღირსი,  
და მეც გონება ნაკრთობს,  
თვალზე მაცხია ფისი.

მაშ რისთვის ღაგდე ნეტავ,  
ვინ მძალავს აგიჟემო,  
ჩემო მაცდურო! მეტად,  
ჩემო სიცოცხლე! ჩემო.  
თან ღამდევს მუდამ ფიქრი,  
გულში იარის მჩენი,  
ვერ გამიგია ღღესაც  
რა მომეწონა შენი.

რა ჩამაწვეთე ასეთი,  
ყულაში გამძვრალა ქალო!  
რა ჯაღოსნური წვეთი,  
ჩემო გულო და თვალო.  
ჩემო გუგუნა ვულკანო,  
ცეცხლი მეღება შენით,  
ვაგლახ, ჩემს თავს რომ ვგანჯავ,  
...სხვა ვერაფერი ვქენი.  
კარგად ვუყურებ, როგორ ღაგებრდი,  
რომ ბებიებსაც აღარ ვუნდივარ,  
თქვენ თავში გიქრით ქარაშოტები,  
მე კი თქვენს აზრით, ღამის ბინდი ვარ.  
..25.05.2015 წ.

### სეველიანი ფიქრები

მე სიკვდილისთვის თავს არ ვამზადებ,  
ის, მომზადების გარეშეც მოვა,  
ცივმა ზამთარმა ჩემს ბებერ თავზე,  
ღიღი ხანია შეწყვიტა თოვა.  
როცა „მანხაფისი“ კლდეზე ვეკიდე,  
მძიმე ზურგჩანთით, მძიმე შაშხანით;  
ვხედავდი ჯიხვებს, ფრიალო კიდეც,  
რომ მოყვებოდა, ორი მათგანი.  
ერთ ხელით შექრის ბუჩქი მებღუჯა,  
მეორით მძიმე რკინას ვიჭერდი  
და როცა თოფმა დაიგრილა,  
ღამის მომეგვრა ხელის თითები.  
უკან მომავალ ხარჯიხვის რქები,  
ჩაშლილ კლდეზე რომ მიჯახუნობდა,  
თოელი „მანხაფი“, ჩამოშლილ თმებით,

ხევეში ჩაჩეხილ ჯიხვს მისტიროდა.  
ჩანჩქერმა ხმაურს უფრო უმატა,  
ლაკუმურაზე ჩამოწვა ნისლი,  
მთებს გადაუჭრა გზა შავმა კაგამ,  
იმ ხევეში ჩემი საომრად მისვლით.  
მაგრამ, მეც მქონდა ჩემი მიზანი,  
მთის კაგის სისხლი ძარღვებში ქუხდა,  
ეს იყო კიდეც ერთი ნიშანი,  
ახლა-უჩემოდ, მთაც თუ შეწუხდა.  
30.12.2015 წ.

### ხითო ფიფია

მძიმე ბერდენკა ეჭირა ხელში,  
მთასავით მოხუცს, ფართო ბეჭიანს,  
მეც გრძელი თოფი მეკიდა თასმით,  
და მივევებოდი ნაშალს ხრეშიანს.  
ეს ჯიხვი ალბათ ძალზე მძიმეა,  
ამ ქარაფებში, არ მსურს ღაგტოვო,  
სად შევისვენოთ, შენ უნდა მითხრა,  
„ტომბა ვარჩხილთან“-ხითო ბაგონო!  
მთის შექრის პაგარა კოცონზე შევწვით,  
ჯიხვის გულ-ღვიძლი ცვრიანი,  
ქულები მოვიხადეთ, ჩვენმა ბაგეებმა,  
ლოცვა აღავლინეს ჭკვიანი.  
ქლიავის“ნათხუმი“, სულ მუდამ ღამქონდა,  
მე სანადირო ზურგჩანთის ფსკერში  
ჩადგმული სამხედრო მათარით  
გამდნარ ყინვას ჰგავდა ფერში  
ღიღი ღმერთი და მაგების „თარინგმერი“,  
გასამდა ჯგურაგი და ღამარია,  
ცოტა წყალს ჩავამატებ, თუ შეიძლება.,  
ასე „ძალიან მაგარია“.  
მეთხე სასმისი (სულ ერთი გვექონდა)  
ვუძღვევით წასულების ხსოვნას,  
ცრემლებმა მონახეს ღაწვების ბილიკები  
(რა უნდა ამ ბილიკთა პოვნას)  
ოთხასი მეტრიდან ქარაფში ჩაფრენილი,  
ბეჭგანიერი ურუმია ვახსენეთ,  
ჯიხვაკილებული „მომწყდარი კლდის და  
სანთია მოვემარჯვეთ „მალბორო, გაგაბოლით.  
ვაქეკურ სახენებ ნისლი ჩამოაწვა,  
ერთხანს იყუჩა, ნიკაპთან ღაგეკიდა ბროლი,  
თითების წვალეებით დააძრო სივარეტი,  
ძალუმად გადაყლაპა ბოლი.  
კლდის წვერზე ჩამოძვარ არწივზე მანიშნა,  
მშერა გააყოლა მწვერვალთა კონუსებს,  
იმ წუთში, ბევრის მნახველი კაცი,  
მთების ქარაფებმა მონუსეს.  
იმ ღამეს ნაბაღზე გვექინა ორთავეს,  
ღიღით შურთხებმა ღაგვიფრთხეს ძილი,  
ისე გავიყარეთ, იმ სისხამ ღიღით,  
ლუკმას ვერ ღაგადვით კბილი.  
გერდაბერაში ედგა კარავი, ხევეში,  
გოლით დახურული „მანსარდი“,  
საბურავს და ჭოკებს კლდის ქიმთან ინახავდა,  
გეავს რომ არ ჩაეხვეტა ზამთარში.  
ურუმის სიკვდილმა თავზარი დასცა,  
„სალუნთვის“ სიმაღლეს გასცქეროდა,  
ჯიხვების სამეფოში მოსეირნე,  
ჭაბუკის, სიკვდილი არ სჯეროდა.  
ეჰ, ნეტავი ეს მეც არა მჯეროდეს,  
მშობელი რას ფიქრობს, ვინდა იკითხოს,  
„ტობა ვარჩხილთან“ დაგშორდით ერთმანეთს  
და მას მერე ვერ შევხვდი ხითოს.  
15.07.2010 წ.

### ნარსულს

მეტაღებოდა მაშინ ღიმილი  
როცა მაღალ მკერდს ვგვერავდი შორით;  
ეს ყველაფერი ყოფილა ყალბი,  
ეს ყველაფერი ყოფილა ჭორი.  
ახლა ვიგონებ, მაღალ ქედიდან,  
პაგარა კარავს, მდინარის პირას:  
შენ გუშინ მოსვლას რომ მპირდებოდი-  
შენ ალბათ ჩემთან, ჩამოხვალ კვირას.  
ანთებულ თვალთა ვისროდით ისრებს,  
ქორწილს ვგვგზავდით სექტემბრის თვეში:  
რას ვინაგრებდით ნეტავი ისეთს,  
ენებათა გაღლის, რომ გვეცმდა თქემი.  
ახლა ის ქედი, კარავთა ზემოდ,  
ამოწვილ ხანჯლად მხხვლეტავ წვერებით,  
ღარჩა უშენოდ, ღარჩა უჩემოდ,  
თოვლივით თეთრი, თმების ფერებით.  
ასეა, როცა დროს ვერ ვცემთ პატივს,  
გაიცრიცება სიცოცხლის ხატი.  
13.09.2010წ.

### საღამო ღამინაღის წიგნი

ღამეძინოს, მომეპარე,  
გათეთრებულს სიბერით,  
თუ გირილით ღაბაღებულს-  
გამაცილებ სიძვერით.  
ოთხმოცდა ექვს წელს გიგოვებ,  
განვლილს მხნედ და კაცურად:

ჩემმა ნაგმა ამ სიავის,  
ყველა ყურე გაცურა.  
როცა ჩემებრ, შენც ღაგმეხავს-  
წუთისოფლის ქვემეხი,  
მხოლოდ უცებ, მხოლოდ ერთხელ,  
მწველი კოცნით შემეხე.  
ღაღიწყე სიკვდილის გზა,  
უკვდავების წყაროსთან,  
სძლიე ეშმაკს, რომ ახალი-  
არ მოგიწყოს გამოცდა.  
ეს ქვეყანა მამაც სულთა,  
საჭაპანო გზებია:  
კავკასიის ქედის გრფობა  
არც მე გამწვანებია.  
მაგრამ სკვითებს ნაბიჭვრობის,  
მონღოლური გენი სდევს:  
ჭიქა არაყს თუ დაღვევს -  
მგვერში წვანან მთელი ღღე.  
საქართველო რაინდობის,  
ხან ღაღაგის პლაცია,  
ქართველი ხან მიჯნურია,  
ხან ორპირი კაცია:  
ასეთია მოძალადე  
რუსის ოკუპაცია....  
15.09.2019 წ.

### თამუნას

(ზუგდიდი, ლტოლვილი ოჩამჩირიდან)  
შენ გენაცვალე, მშვენიერო-  
ვარდის ბუჩქივით,  
რომ გაფურჩქენილხარ,  
მიწის შვილი ხარ, თუ-  
ზეციდან ნასროლი ბროლი:  
თვალთა, ცისკართა ნაირფერო,  
შველის გუჩივით,  
მოკრძალებულად აქ რომ მიხარ-  
სადა გყავს გოლი?  
ღაამშვენივლი ნებისმიერ,  
აწყობილ ოჯახს,  
ენგურს გაღაღმა შენი სახლი,  
ბინდშიაც მოჩანს,  
ჩვენს კუთვნილ მიწას:  
ოკუპანგის იარაღი ბოჭავს.  
(როცა „ოდესღაც“, ჩვენი იყო,  
სოხუმიც, სოჩიც).  
ხარ საოცარი, უბრალო და  
მშვენივლით სავსე: თეთრო ასულო!  
დროა, სგრიქონი, შენი ქებით,  
რომ ღაგასრულო.

### ქალბატონ ნ. X-ს

მაგანას გაფხარ მთიდან მომსკდარს  
ლოღებთან ომში გამობრძმედილს  
ჯვარის ხიდეშდე  
მუხლი მომდეველს შენს სიყვარულს  
ეგრისთან შეყრილს  
გამოვეყვებოდი ქვეყნის კიდეშდე,  
და ბასრი სიგყვით ღაგადნობდი  
ქანგიან ჯაჭვს  
ამირანის შემბოჭავი პალოს სიგრძემდე,  
კოლხო ასულო! როგორ გშვენის  
კეთილი გულის  
სხივით მოსილი თბილი ღიმილი  
კლემამოსილი ნათელი სახე  
ყოველი სიგყვა საქმის შოშით  
გამოშომილი.

აღამიანთა სიყვარულით გამთბარი მშერა  
ვერ ეგუება ბოროტებას, ვერა და ვერა.  
ხმალი იმოდენს ვერას იქმს  
მრისხანება ძლიერით  
რასაც იქმს მოუსვენარი  
კალმის პაგარა წვერით,  
ასე ბრძანებდა ილია  
წმინდანად რომ ვრაცხთ ერიო.  
გარიელი ნესტანს ეძებს  
მდინარის პირს გირის მწარედ  
ავთანდილ და ფრიდონ საღ ხარო  
ამ საქმეში დამეხმარეთ,  
რომ ავიდოთ ქაჯთა ციხე  
ჩემი საგრო მყავდეს გარეთ  
საქართველო ნესტანია  
ცემას უპირებს ღაგარი  
ბოროტმა რომ არ გვაჯობოს  
აი., საღ გვიხმობს „მთავარი“  
და მომხიბლავი შენი ღიმილი  
90 წლის კაცს რომ მაგყვევებს,  
იმას მეგყველებს ბრძენი ქალები  
თამარ მეფისებრ ჰყავდეს ქართველებს.  
15.07.2023 წ.

პიმენ კვანჭიანი





# კოლხური სიძველეების მინდია კალისტრატე (კაი) სამუშია - 106



მკვლევარი, ეროვნული კულტურის ღრმად მცოდნე, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე კალისტრატე სამუშია დაიბადა 1917 წლის 17 სექტემბერს წაფიხის რაიონის სოფელ პალურში. აქ მიიღო დაწყებითი განათლება, ხოლო საშუალო სკოლა დაამთავრა მიმდებარე სოფელ ლიაში. სწავლა გააგრძელა ქ. თბილისში, მიღებული აქვს ორი უმაღლესი განათლება- სწავლობდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში! მის მიერ ექსპედიციებზე უშუალო მონაწილეობა ეხმარებოდა მას ცოდნის გაღრმავებაში, მშობლიური ქვეყნისა და კუთხის ისტორიული წარსულის შესწავლაში. იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მიწვეული იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუგდის ფილიალში ლექტორად, იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი. არაერთგზის არჩეულ იქნა უნივერსიტეტში

კონფლიქტურ საკითხებზე მომუშავე კომისიის თავმჯდომარედ. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ქ. მუგდის სახელმწიფო ისტორიულ- ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაჰყო უფროს მეცნიერ - მუშაკის თანამდებობაზე. უნდა აღინიშნოს მისი დიდი ღვაწლი ენათმეცნიერებისა და ეროვნული კულტურის ღრმად შესწავლის საქმეში! მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი, 80- წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა მისი საიუბილეო წიგნი - “კალისტრატე სამუშია”, სადაც შევიდა გამოჩენილი მეცნიერების, ბრწყინვალე ინტელიგენციის შეხედულებანი მის ღვაწლზე, როგორც მეცნიერსა და პიროვნებაზე, ერთ- ერთმა მათგანმა მას კოლხური სიძველეების მინდიაც კი უწოდა. ბ- ნი კალისტრატე სამუშია გარდაიცვალა 2002 წლის 22 თებერვალს-85 წლის ასაკში.

**ინფორმაცია - მუგდისა და ცაიშის ეპარქიის- სოფ. ლიის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან არსებული საკვირაო სკოლის აღმინისგრაფია.**

სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონი კალისტრატე სამუშია აქტიურად თანამშრომლობდა „ეგრისის მაცნეს“ რედაქციასთან. მისი ბოლო წიგნი „ძველი კოლხური (მეგრული) ლექს- სიმღერები,, 2001 წელს გამოიცა „ეგრისის მაცნეს“ რედაქციაში, რომლის ბოლო გვერდზე ავტორი მადლობას უხდის წიგნის გამომცემლებს; „სასიამოვნო ვალდებულე ბად მიმჩნია მადლობა ვუძღვნა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებმაც სათანადო დახმარება აღმოაჩინეს ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით - ბატონებს: ლერი ჭითანავას, ვახტანგ კვარაცხელიას, გიგე მოსიას, ილია ანთელავას, მურთაზ ფაცაცის, გოჩა სოსელიას, ნათია ჯგუშიას და მთელ მის („ეგრისის მაცნე“-ს ) თანამშრომლებს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს პროფესიულ ღონეზე შესრულებისათვის”.



**კალისტრატე სამუშია.**

**სურათზე: ნათია ჯგუშია და კალისტრატე სამუშია „ეგრისის მაცნეს“ რედაქციაში წიგნის „ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-სიმღერები“-ს საბოლოო ვარიანტის განხილვისას. 2001 წლის ნოემბერი.**

## ქვეყნისთვის დამაუფრალი აღამიანები პლატონ ჯიშკარიანი



ალბათ უდიდესი ბედნიერებაა როცა აკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან გიყვარს და იცი რომ იქ შენი ადგილია. შემთხვევით არაფერი ხდება, არც 1952 წელი ყოფილა შემთხვევითობა, როცა ბატონი პლატონ ჯიშკარიანი დაინიშნა მუგდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად. 25 წელი იღვაწა ამ თანამდებობაზე ღირსეულად და პატიოსნად. კულტურის დამსახურებული მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. მეცნიერი და პედაგოგი, სამუშაოზე საქმის წინეული სპეციალისტი და რაც მთავარია კეთილშობილი და პუმანური პიროვნება.

დაიბადა 1913 წლის 1 აგვისტოს ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში. 1918 წელს მამა გარდაეცვალა. ხუთი წლის ასაკში დაობლდა. ორი შვილი დედამ გაზარდა, ძმა ომში დაიღუპა.

1935-40 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1940 წელს გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. იყო ლეიტენანტი-ასეულის მეთაური.

1945 წელს დემობილიზებული, საბრძოლო ჯილდოებით დაბრუნდა სამშობლოში.

1945 წლიდან 1952 წლის მაისამდე და შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა სკოლებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

ბატონ პლატონ ჯიშკარიანის მუშაობაში მუშაობის წლები, ეს იყო მისი აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდი. მუშაობაში ფუნქციონირებდა სამეცნიერო საბჭო, თითოეულ თანამშრომელს წელიწადში ორ-სამჯერ უნდა წარმოედგინა ნაშრომი მუშაობაში დაცულ მასალაზე, თანამშრომელმა პრესასთან. კვირაში ორჯერ გარდებოდა საექსპედიციო სამუშაოები. გვემა წინასწარ იყო შემუშავებული. ექსპედიციის შემდეგ საბჭოს ბარდებიდან ანგარიში ჩაგარებული მუშაობის შესახებ. ამგვარად მდიდრდებოდა მუშაობა ახალი მასალით.

მუშაობდა შემქმნელ-შემფასებელი კომისიის, შემოღობილია ღირებული ნივთები, რომელსაც კომისიის წევრებთან ერთად აუფასებდა მოწვევული სპეციალისტი. შესწავლილი ნივთი ადგილს იკავებდა სათანადო ფონდში. გარდებოდა ექსკურსიები. რამოდენიმე წელიწადში ერთხელ თანამშრომლები მიდიოდნენ სტაჟირებაზე საბჭოთა კავშირის საუკეთესო მუშაობებში გამოცდილების გაზიარების მი

რეგიონის უკეთესი გაცნობის მიზნით გარდებოდა გასვლითი ექსკურსიები. ბატონი პლატონი ხშირად იცლიდა თანამშრომლებისთვის. ახალგაზრდებთან ჰქონდა მამაშვილური ურთიერთობა. უფროსი თაობის თანამშრომლები თავიანთ გამოცდილებას, საუბრებს სამუშაოზე დებულებებს- კანონებს აცნობდნენ ახალ თანამშრომლებს. 25 წლის მანძილზე პლატონ ჯიშკარიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩაგარდა 25 მე მეტი სამეცნიერო სესია. აქედან 16 სესიის მასალები გამოიცა. სესიაში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსი მირიან ძეგლაია, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა მესხია, აკადემიკოსი გიორგი ჩიგაია. მუშაობის თანამშრომლები: ციალა ქირია, ელენორა

ცხაკაია, თამარ ფირალიშვილი, კალისტრატე სამუშია, მამანგი პაჭკორია, სესიაში მონაწილეობდნენ : ბეგლარ გობეჩია, შოთა ხუბულავა, მირიან ნარმანია, ისაკ ქორთუა, კარლო მიქია, მალვა მენგელი და სხვები. მუშაობაში პირველმა რესპუბლიკაში ჩაატარა გამსვლელი სესიები: სალხინოში, სენაკში, ლიაში და ცაიშში. დირექტორად მუშაობის პერიოდში მის სამეცნიერო მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ სამუშაოზე საქმის სპეციალისტები, კოლეგები, მეცნიერები. 1967 წელს გამოვიდა პლატონის ფუნდამენტური ნაშრომი- წიგნი-„მუგდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის პერიოდში“, ნაშრომი წარმოადგენს მუგდის რაიონის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. მიმოხილულია მუგდის მაზრის სოციალურ-ეკონომიური კულტურული ვითარება მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ ისტორიკოსი მკვლევარი, რომელიც დაინტერესებული იქნება სამეგრელოს ისტორიით გვერდს ვერ აუვლის ამ ნაშრომს. გარდა ამისა ის არის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი ბატონ პლატონთან ინტერვიუსი 1993 წელს, როცა მას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, ( ინტერვიუერი ქურნალისტი რემო ქორთუა). შეკითხვა: თქვენი 80 წლის სიმაღლიდან დღევანდელ სიტუაციაზე რა დასკვნას გააკეთებდით? - ჩემი ფიქრით, საჭიროა სულიერი და ხორციელი აღორძინება, შრომის უნარის დაბრუნება. არ ვარგა რომ ერთმანეთს მევეთად დაუპირისპირდეთ და ბოლშევიკებმა ვიაროთ. მძიმე ბორკილებად აწვა ხალხს ძველი მეთოდები და კანონები, რომლებმაც თავისუფლება დაშრიეს. ამჟამად მკაცრი ხელიც კი გამართლებული იქნება, რომ საბოლოოდ ჰარმონია დამკვიდრდეს. მარტო ილუზიების აყოლა ვერაფერს მოგვიტანს. „მე კარგად ვიცი ჩემი კუთხის ისტორია, მისი წარსული, გვაქვს უამრავი ბრწყინვალე ფორმები წარსული ცხოვრებიდან, აი, მათი შემოგანა და დამკვიდრება არ გვაწყენდა, პირიქით, მეც სიცოცხლეს შემოგანა, მეცად გვახალისებდა ჩვენს სტრუქტურებს. თქვენ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, ეს ალბათ ოჯახში სიმშვილეს და ბედნიერებას გვგვრით. მითუმეტეს გვერდში შესანიშნავი მეუღლე და ბრწყინვალე პედაგოგი ქალბატონი დარეჯან ცხაკაია გყავთ. აგრეთვე შესანიშნავი ქალიშვილები, სიძეები და შვილიშვილები. -ნამდვილად ასეა, ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოს ხართ მე ოპტიმისტით ვცხოვრობ და სიცოცხლეს ჩემი ოჯახი მიხანგრძლივებს, ყველაზე მეტად რწმენის სიმტკიცე სჭირდება ჩვენს ერს ამჟამად.

ბატონ პლატონისა და ქალბატონ დარეჯანის ოჯახს ამშვენებდა პატიოსნება, ცოდნა, საქვეყნო საქმის უანგაროდ კეთება, თავმდაბლობა. ასეთი სულისკვეთებით გაზარდეს შვილები- მაია და მარიკა ჯიშკარიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად ემსახურებიან მედიცინას და ქვეყანას უზრდთან ღირსეულ შვილებს. მათი შთამომავლები სიამაყით მოიგონებენ ქვეყნისა და ხალხისთვის დამაშვრალ სახელოვან წიბაპრებს.

ჩვენ დადიანების სასახლის თანამშრომლები პატივსცემით ვისვენებთ ბატონ პლატონს და მის შესანიშნავ ოჯახს. გმადლობთ, ბატონო პლატონ, რომ მეოთხედი საუკუნე პატიოსნად და სიყვარულით ემსახურებოდით ეროვნულ საქმეს. ღმერთმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი.

**დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მცველი ნაზიმბროლა ქორთუა**



# ზუგდიდელმა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებებს მიაღწიეს



სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნული გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან და ზუგდიდის მერთან მამუკა წოწერიასთან ერთად რიყის სპორტდარბაზში წარმატებულ სპორტსმენებს შეხვდა და მოლოდინში გამართულ ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატება მიულოცა.

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრებმა ევროპის ჩემპიონატი გუნდური პირველი ადგილით დაასრულეს.

მათ შორის, ოთხმა ზუგდიდელმა ევროპის ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია.

ლიმიგრი აბრალაფა- 61 კგ. ( 15) - 1 ვერცხლი, 2 ოქრო.

ნიკა ჯიქია 81 კგ. ( 15) 3 ვერცხლი.

გოგა ჯაჯვანი 73 კგ. ( 17) - 3 ვერცხლი.

ირაკლი ვეკუა- +102 კგ. ( 17) - 3 ოქრო.

„საოკუპაციო ხაზთან მდებარე ძალოსნობის ეს ცენტრი არაერთი წარმატებული სპორტსმენის აღმზრდელია. ახლაც ევროპის ჩემპიონატზე გვყავს სამი გამარჯვებული, მივეულოცეთ მათ ეს გამარჯვება. ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრების წევრებმა სოფელ რიყეში ჩამოიგანეს 5 ოქროს და 7 ვერცხლის მედალი. ეს ნამდვილად დიდი შრომის შედეგია ჩვენი რეგიონისა და ქვეყნისთვის“- აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ.

„საქართველოს ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ევროპის ჩემპიონატზე, გუნდურად მათ პირველი ადგილი და ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანა ოთხმა ზუგდიდელმა, რიყის ძალოსანთა სკოლიდან, რომლებიც გახდნენ ოქროსა და ვერცხლის პრიზიორები. მინდა მათ მაღლობა გადავუხადო შრომისთვის და ეს წარმატება მივეულოცო. უფრო დიდი წარმატების მიღწევა გვქვს, ახლა ვართ მოლოდინში ევროპის ჩემპიონატის, სადაც ჩვენი სკოლის აღმზრდელები იქნებიან წარდგენილი. რიყეს გააჩნია დიდი ხნის ტრადიცია სპორტული ძალოსნობის“- აღნიშნა ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ.

## ხურჩის სარავშვო ზალი 12 წლისაა

კიდევ ერთი სასწავლო წელი მიიწურა და სკოლებმა და ბაღებმა კიდევ ერთი დაფრთხილებული თაობა გააცვიფრეს. სამომავლო გზაზე დიდი იმედებით, დიდი სიხარულითა და ემოციებით... დიას იმედით სვალის, რწმენით ნათელი მომავლის. აკრძალული სკოლისა და ბაღის კედლები ახლა ღრუბრით სდუმან, ისევე ახალი სასწავლო წლის მოლოდინში და მონაგრებაში...

... 28 ივნისს საგამოშვებო და საიუბილეო საღამო ჰქონდა ხურჩის სარავშვო ბაღს, რომელიც 12 წლის შესრულდა და 6 მომარდი გააცილა სკოლისაკენ. ბაღში ირგვლივ გარემოს, ეზოდან დაწყებული, ნათლად ეგყობოდა მშრუნეული ხელი, ამ თორმეტი წლის განმავლობაში რამდენი უშრომიათ. ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული, კეთილმოწყობილია გასართობი სათამაშოებით, შიგნით შესულებს დიდი სიყვარულით გვგებებენ ბაღის გამგე, ღვაწლმოსილი მუშაკი, ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი ქალბატონი ცისანა დარასელია, ირგვლივ პაგარა ანგელოზები, ლამაზ ფორმებში გამოწყობილები ეხვევიან- ჩვენთან ერთად არიან: ქალბატონი ცისანას რძალი მარგა ხარამიშვილი, ბაღების ცენტრიდან ქალბატონები: ლალი შენგელია და თეა ჭეკია.

ქალბატონი ცისანა ყველა ოთახს გვათვალისწინებებს: გასართობი ოთახი, საძინებელი, სამზარეულო, სველი წერტილი- ყველგან იდეალური სისუფთავე და მომსახურე პერსონალთა მშრუნეული ხელი ამკარად აგყვია, მათ ურთიერთობებშიც სითბო და ურთიერთპატივისცემა იგრძნობა.

... იყო ცეკვა, სიმღერა ლექსები, ძალიან მხიარული საღამო, ღონისძიებებს ესწრებოდა სოფლის თავკაცი, ზუგდიდის მერიის წარმომადგენელი ხურჩის აღმინისგრაფიულ ერთეულში ბატონი ბადრი ხუხუჩაშვილი, ხურჩის სკოლის ყოფილი დირექტორი ჯამბულაძე ეხვია, ასევე ღონისძიებას ესწრებოდნენ გია და ია შეხანგირაძეები, რომლებმაც პაგარებს სამახსოვრო საჩუქრები დაურიგეს.

ღონისძიების დასასრულს დიდი გორგიც დაჭრა ქალბატონმა ცისანამ და პაგარებს დაურიგა... დიას იყო სიხარული, საზეიმო განწყობა, მაგრამ ამ ყველაფერს სევდაც ახლდა, რასაც მშობლიური აფხაზეთი ჰქვია, ხურჩა ერთი ხელის გაწვედნაზეა აფხაზეთთან და ეს ყოველი ქართველის „საწუხილოა“. პაგარებმა ერთხმად შესთხოვეს უფალს: „აფხაზეთი დაგვიბრუნე ღმერთო“. ამინ.

უფალმა შეისმინოს მათი ვედრება;  
გუსურვებთ თითოეულ მათგანს ნათელ და ბედნიერ მომავალს  
ერთიან და ძლიერ საქართველოში.

**ნათია ჯაფარიძე**



სამეგრელო-ზემო სვანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ევრისის მაცნე“-ს რედაქცია 25 წლისთავთან დაკავშირებით გეგმავს გამოსცეს წიგნი - „ევრისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ წიგნი აისახება უნიკალური მასალები ცნობილ ადამიანებზე, მათ საზოგადოებრივ საქმიანობასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე. ჩვენი ქალაქისა და რეგიონის ისტორიაზე რომელშიც „ევრისის მაცნე“-ს წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული. წიგნი „ევრისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ კი ჩვენი წარსული ისტორიის ნამდვილი ექსპონანტი, მომავალ თაობებს კინო კადრებით გააცნობს წარსულს - აწყობილი ამ დღეებით „ოლონდ ერთმანეთი გვიყვარდეს“.

საქართველოს პანკში გახსნილია ანგარიში წიგნი „ევრისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ ს სახელით. „საქართველოს ბანკი“, შპს „ევრისის მაცნე“ 98 0000000537135285

**მსურველებს, ჩვენს ერთგულ მკითხველებს, გულშემატკივრებს შეგიძლიათ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხოთ თქვენთვის სასურველი თანხა. ერთად გადავარიჩინოთ ჩვენი წარსული.**